

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №38

ქ. თბილისი

31.08.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, სხდომის მდივანი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლომჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:

ვახტანგ ლეჟავა - რექტორი;

ნათია სამუშია - პრორექტორი;

მარინა ქარჩავა - პრორექტორი;

სანდრო რაქვიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

რევაზ ხოფერია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თეკლე გურიელიძე - დაწესებულების წარმომადგენელი;

მაკა მელიქიძე - დაწესებულების წარმომადგენელი;

ბადრი გელიტაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი;

ალექსანდრე მოსიძე - დაწესებულების წარმომადგენელი;

თეიმურაზ კუპრავა - დაწესებულების წარმომადგენელი;

ტრისტან ჯინჭარაძე - დაწესებულების წარმომადგენელი;

დავით მარკოზაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი;
აკაკი თავაძე - დაწესებულების წარმომადგენელი;
თეა ოდიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი;
ბექა კოკია - დაწესებულების წარმომადგენელი;
შაკო თავაძე - დაწესებულების წარმომადგენელი;
თეა ხინჩიგაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით სიხარულიძე;
ნინო ზარნაძე;
ეკა ლეკაშვილი;
სალომე მალუძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დამსწრეთა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ლევან გორდეზიანი..

სხდომის მდივნის ფუნქცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს, დიმიტრი ჯაფარიძეს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავი იყო, რომ მოცემული საკითხის განხილვისას, საბჭოს ორი წევრი განაცხადებდა თვითაცილებას, ვინაიდან დასაქმებულები გახლდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში. შესაბამისად, მოცემულ ვითარებაში ვერ შედგებოდა ქვორუმი, რაც შეუძლებელს გახდიდა საკითხის განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების საკითხი. საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და მხარი დაუჭირეს საკითხის გადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ახალი დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ ცენტრის მეშვეობით საბჭოს წევრები გაეცნენ მათ მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე წარმოდგენილ პოზიციას, რომლის ადრესატი გახლდათ ცენტრის დირექტორი. მისი მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას საკუთარი პოზიცია წარმოედგინა საბჭოს სახელზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოისურვა კომენტარის გაკეთება და განაცხადა, რომ მათ სურდათ განეხორციელებინათ საბჭოს სხდომის მსვლელობის ჩაწერა აუდიო მოწყობილობის მეშვეობით. რაც შეეხებოდა დაწესებულების წერილებს, რომელზეც მიუთითა სხდომის თავმჯდომარემ, მათ ჰქონდათ ვალდებულება გამოერკვია ყველა გარემოება. მათ მიიჩნიეს მართებულად ცენტრის დირექტორის სახელზე წარმოედგინათ თავინთი მოსაზრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი წერილების ადრესატი გახლდათ ორი, ცენტრის დირექტორი და აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ დააკმაყოფილა დაწესებულების წარმომადგენლების შუამდგომლობა აუდიო ჩანაწერის განხორციელების თაობაზე და განაცხადა რომ აუდიო ჩაწერა განხორციელდებოდა, როგორც დაწესებულების ასევე ცენტრის მხრიდანაც.

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი - 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს გააცნეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. კერძოდ:

- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ შესწავლილი ყოფილიყო ბიზნესის ძირითადი განათლების ბლოკში;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ წინაპირობად განსაზღვრული ყოფილიყო მენეჯმენტის საფუძვლები;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები“ შესწავლილი ყოფილიყო სწავლების ადრეულ სემესტრში ასევე რეკომენდირებული იყო აკადემიური პერსონალის ჩართულობის ამაღლება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში;
- რეკომენდირებული იყო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებულიყო სხვადასხვა სახის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომელიც ემსახურება პროფესიული და/ან სწავლების უნარის განვითარებას).

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდებოდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის სრული დაცვით, რომელიც ითვალისწინებდა პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომელიც გაჯერებული იყო კვლევის ელემენტებით. თუმცა არ არსებობდა ვალდებულება იმისა რომ ყოფილიყო სამეცნიერო საქმიანობა ბაკალავრიატის დონეზე. აღსანიშნავი იყო, რომ ზოგადად აგრარული უნივერსიტეტი სამეცნიერო მოღვაწეობის ნაკლებობას არ განიცდიდა, თუმცა მათ მიერ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა დეკლარირებული იყო როგორც პრაქტიკასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული პროგრამა. პროგრამა გახლდათ საკმაოდ წარმატებული, მიღების საშუალო ქულა გახლდათ 2050-ზე მაღალი, მოთხოვნა იყო უფრო მეტი ვიდრე გამოცხადებული ადგილები ასევე მაღალი მაჩვენებელი იყო კურსდამთავრებულების დასაქმებისა რაც მეტყველებდა იმაზე რომ პროგრამის მიზნები სრულად იყო დაკმაყოფილებული. მათი მოსაზრებით რაიმე დამატებითი ღონისძიებების აუცილებლობა იმისათვის, რომ პედაგოგიურ კოლექტივს შეეძლებოდა უკეთ სწავლება არ იყო.

რაც შეეხებოდა საგნების სტრუქტურას, ექსპერტებს შესაძლებელი იყო ჰქონოდათ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულის თაობაზე, თუმცა საგნების არსებული სახით სტრუქტურირება გამოწვეული იყო წარმატებული პრაქტიკით და საერთაშორისო წარმატებული ბიზნესის სკოლების მაგალითით. დაწესებულება ვერ ხედავდა საჭიროებას იმისა, რომ რაც წარმატებულად ხორციელდებოდა კრიტიკულად ყოფილიყო გადახედილი და ჩატარებულიყო ექსპერიმენტი, რომელიც მათი შეფასებით ზოგიერთ შემთხვევაში გააუარესებდა სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მათ ვერ დაინახეს არგუმენტაცია თუ რის საფუძველზე იყო გაცემული აღნიშნული მოსაზრებები და რა ნაკლოვანების აღმოფხვრას ემსახურებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დასკვნის გაცნობის შედეგად მისთვის გაუგებარი გახდა ლოგიკა თუ როგორ დაეხმარებოდა რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებას. პირველი რეკომენდაციის საპასუხოდ მან განაცხადა, რომ ის საკითხები რომელიც ეხებოდა ადაინაური რესურსების მენეჯმენტს, პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით გადანაწილებული იყო სხვადასხვა საგნებში, მაგალითად: „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „ლიდერობა და მოტივირება“ და ფარავდა იმ მნიშვნელოვან საკითხებს რომელიც მათი მოსაზრებით იძლეოდა საშუალებას გასულიყვნენ იმ შედეგებზე, რომელიც მათ ჰქონდათ დასახული. ვინაიდან პროგრამა მოიცავდა კონცენტრაციას „მასპინძლობის მენეჯმენტი“ მნიშვნელოვანი იყო ადამიანური რესურსების სპეციფიკა, შესაბამისად აღნიშნული საგანი ისწავლებოდა მითითებულ კონცენტრაციაში და მასში იყო მნიშვნელოვანი პრაქტიკული დავალებები, რომელიც ეხებოდა სერვისის სფეროს და სპეციფიკას. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები არ თვლიდნენ საჭიროდ მომხდარიყო მექანიკური გავრცელება საგნის რომელიც ასრულებდა კონკრეტულ ფუნქციას. დასკვნაში მითითებული იყო კონკრეტული თემები, რომელიც არ იყო დაფარული. პროგრამის ხელმძღვანელისათვის გაუგებარი იყო რატომ კეთდებოდა აქცენტი კონკრეტულად დასკვნაში აღნიშნულ თემებზე და როგორ გააუმჯობესებდა შედეგს რამოდენიმე კონკრეტული თემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არაერთ საზღვარგარეთის ქვეყნების ბიზნესის სკოლებში ისწავლებოდა ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მენეჯმენტის შესავალი კურსის ფარგლებში, თემები გახლდათ ანალოგიური მათ პროგრამაშიც. მაგალითისათვის ვორტონის უნივერსიტეტში ისწავლებოდა ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მენეჯმენტის კონცენტრაციის ფარგლებში. მათ პროგრამაში ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ისწავლებოდა მენეჯმენტის საწყისებში და მოიცავდა 24 საათს, 36 საათი ეთმობოდა ლიდერობა და მოტივირების კურსში, 4 კრედიტი ეთმობოდა სოციალურ ფსიქოლოგიაში. თავად ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საგანიც მათი მოსაზრებით გახლდათ სერვისის კონცენტრაციის საგანი, მიუხედავად იმისა რომ დასკვნაში ნახსენები იყო, რომ აღნიშნული არ გახლდათ კონცენტრაციის საგანი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მეორე რეკომენდაცია გახლდათ უცნაური ვინაიდან მასში აღნიშნული იყო, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის წინაპირობა უნდა ყოფილიყო მენეჯმენტის საფუძვლები. წინაპირობის განსაზღვრა გახლდათ ლექტორის პრეროგატივა. თავად რეკომენდაცია მიუთითებდა იმაზე, რომ არ განხორციელდა საგნების შინაარსობრივი გარჩევა. მათ შეეძლოთ მიეცათ დირექტივა ლექტორისათვის ჩაესვა კონკრეტული საგანი წინაპირობად, თუმცა უმთავრესი მაინც გახლდათ სტუდენტის ინტერესი. როდესაც ხდებოდა წინაპირობის განსაზღვრა დეტალურად ხდებოდა იმის შესწავლა უნდა ჰქონოდა თუ არა სტუდენტს საგანში დადებითი შეფასება იმისათვის რომ გაეწეო შემდეგი საგანი. დაწესებულება აღიარებდა ლექტორის აკადემიურ თავისუფლებას და მის გადაწყვეტილებას და შესაბამისად მიიჩნიეს რომ შესაძლებელი გახლდათ აღნიშნული საგნის პრერეკვიზიტის გარეშე მიწოდება სტუდენტისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თუ გადახედავდნენ სემესტრულ გეგმას და კურიკულუმს დაინახავდნენ, რომ მენეჯმენტის საფუძვლები არ გახლდათ მარტივი კურსი, რომელიც შესაძლებელი იყო ჩაესვათ და სტუდენს დაეხმობინათ კონკრეტული განმარტებები და ამით შემოფარგლულიყვნენ. მათი მოსაზრებით მენეჯმენტის საფუძვლები გახლდათ საკმაოდ რთული საგანი, რომელიც სტუდენტებისაგან მოითხოვდა გარკვეულ გამოცდილებას და ხედვას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გადასცა დოკუმენტი სადაც ასახული იყო სქემა თუ როგორ ისწავლებოდა მენეჯმენტი და აღინიშნა, რომ ყველა ის საგანი რომელიც ნახსენები იყო მესამე რეკომენდაციაში პროგრამაში ისწავლებოდა, მხოლოდ სხვა სახელწოდებით. შესაბამისად რეკომენდაციის მიხედვით რომელიმე საგნის სხვა სემესტრში გადაწევა დაანგრევდა კურიკულუმის სტრუქტურას და იდეას და წინააღმდეგობაში მოვიდოდა მათ გამოცდილებასთან. რაც შეეხებოდა ბოლო რეკომენდაციას, მისი მოსაზრებით მეცნიერება გახლდათ შედეგი და არა უბრალოდ ჩანაწერი, შესაბამისად რეკომენდაციაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი კონკრეტული მაგალითები თუ რომელი ლექტორი არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ კვალიფიკაციას. მათი აკადემიური პერსონალი გახლდათ საკმაოდ მაღალკვალიფიციური და შეეძლოთ წარმატებით განეხორციელებინათ სწავლება. შესაბამისად პრობლემა რეკომენდაციის მიხედვით უნდა ყოფილიყო დაკონკრეტებული და მითითებული როგორ აისახებოდა შედეგზე. მათთვის გაუგებარი იყო

ნებისმიერი სავალდებულო რეკომენდაცია, რომლის შესრულება გახლდათ შეუძლებელი, სამაგიეროდ შესაძლებელი იყო მათი უსასრულო ინტერპრეტაცია.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ტიპის რეკომენდაცია გაცემული იყო მათ მიერ განხილული დასკვნების თითქმის 60 %-ში, ვინაიდან განსაკუთრებით ბოლო წლებში სამეცნიერო პუბლიკაციების არ არსებობა აკადემიური პერსონალის მხრიდან იწვევდა გარკვეულ ეჭვს ვინაიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა თანამედროვე ცოდნის გადაცემის უნარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ რეკომენდაციებს ჰქონდა ორი განზომილება, პირველი შეეხებოდა კურიკულუმის სტრუქტურას, რეკომენდაციები მათ ავალდებულებდა შეექმნათ ახალი პროგრამა. საგნების გადალაგება გამოიწვევდა კურიკულუმის ცვლილებას. მათ გააჩნდათ საკმარისი პასუხისმგებლობა სტუდენტების და მათი რეპუტაციის მიმართ რის საფუძველზე მათ არ შეეძლოთ გადაადგილებების განხორციელება. რაც შეეხებოდა მეცნიერებას, მიმდინარე სხდომაზე საუბარი რომ ყოფილიყო ფიზიკის პროგრამაზე გასაგების იქნებოდა კონტექსტი მეცნიერებასთან მიმართებით, მაგრამ როდესაც საუბარი იყო ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელი იყო ორიენტირებული ყოფილიყო პრაქტიკაზე. პროგრამას თუ გადახედავდნენ გულდასმით თეთრით სავზე ეწერა რომ აღნიშნული ხორციელდებოდა. რაც შეეხებოდა სტატიებს, მათი პოლიტიკის და პირადი მოსაზრებით, უფრო მნიშვნელოვანი იყო ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორს განეხორციელებინათ საკონსულტაციო სამუშაოები და ყოფილიყვნენ ბიზნესთან ყოველდღიურ კავშირში ვიდრე გამოექვეყნებინა სტატია მე-7 ხარისხიდან ჟურნალში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ევროპის ხარისხის სივრცეში პირდაპირ იყო დეკლარირებული, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფა უზრუნველყოფილი იყო, როდესაც სამეცნიერო კვლევა და სწავლება კავშირში იქნებოდა ერთმანეთთან. რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხს, უნივერსიტეტის ლოგიკის მიხედვით ადამიანური რესურსების მენეჯმენტი წარმოდგენილი იყო მასპინძლობის მენეჯმენტში, ასევე მეჯმენტის პრინციპები და საფუძვლები გახლდათ ერთი და იგივე. ექსპერტმა ჯგუფს დეტალურად ჰქონდა შესწავლილი პროგრამის და თითოეული კურსის შინაარსობრივი ნაწილი. რაც შეეხებოდა აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციას, აღნიშნული მოთხოვნილი იყო უშუალოდ სტანდარტის მიერ. ვინაიდან ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა თითოეული აკადემიური პერსონალის ლექციას, მათი მისია იყო ეხლემდგანელათ არსებული დოკუმენტების მიხედვით, სწორად მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შემუშავდა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაბეჭდილი იყო ახალი ევროსტრატეგია „ევროპა 2020“ სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ უნივერსიტეტები ვალდებული იყვნენ გაეერთიანებინათ პრაქტიკის და აკადემიის ძალისხმევა იმისათვის რომ თანამედროვე განათლება მიეცათ სტუდენტებისათვის. აღნიშნული ნიშნავდა იმას, რომ სწავლების პროცესში

ჩართული უნდა ყოფილიყო პრაქტიკოსი. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა აგებული გახლდათ მითითებულ სტარტეგიაზე დაყრდნობით. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ უნივერსიტეტის ხედვიდან გამომდინარე ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა უნდა ყოფილიყო პრაქტიკაზე ორიენტირებული. სწორად ამიტომ უნივერსიტეტი სამომავლოდ არ გეგმავდა ამ მიმართულებით სადოქტორო პროგრამის შემუშავებას. ექსპერტთა ჯგუფს უნდა დაესაბუთებინა რომ მათი რეკომენდაციები ემსახურებოდა კონკრეტულ მიზანს, კერძოდ პროგრამის შედეგების გაუმჯობესებას და არ უნდა ყოფილიყო აპელირება ქაღალდებზე და დოკუმენტებზე. რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ძალიან დიდი მოცულობით იყო მიწოდებული სტუდენტებისათვის ძირითად განათლებაში თავისი ყველა ტექნიკით და ასპექტით. საკითხები გადანაწილებული იყო სხვადასხვა საგნებში სხვადასხვა სახელწოდებებით. 15 კვირის მანძილზე 30 საათი ეთმობოდა ასევე ადამიანური რესურსების მენეჯმენტს მასპინძლობის კონცენტრაციაშიც.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით შესაძლებელი იყო ძირითად საგანში ყოფილიყო ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ან საერთოდ არ ყოფილიყო, ამით არაფერი დაშავდებოდა, თუმცა სასურველი იქნებოდა. ის ვერ დაეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ აღნიშნულის გარეშე პროგრამა ვერ გავიდოდა მიზანზე. მიუხედავად აღნიშნულისა მისთვის გასაგები იყო ლოგიკა თუ რატომ იყო რეკომენდირებული ადამიანური რესურსების მენეჯმენტის წინაპირობა ყოფილიყო მენეჯმენტის საფუძვლები, ვინაიდან საფუძვლები გახლდათ ძირითადი საგანი და მას შემდეგ მოდიოდა ადამიანური რესურსების მენეჯმენტი რაც ასევე გახლდათ ლოგიკური. რაც შეეხებოდა პუბლიკაციებს, ექსპერტთა ჯგუფს კანონმდებლობა ავალდებულებდა გადაემოწმებინათ აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომები. ბიზნესის მიმართულებით შესაძლებელი იყო მაგალითისათვის ათივე პროფესორს ჰქონოდა სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა გარკვეულ რაოდენობას უნდა ჰქონოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ექსპერტების მიერ შემოწმდა აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და მათ ვერ ნახეს პერსონალის მიერ ბიზნესის მიმართულებით გარკვეული კვლევები რეკომენდაცია გასაგები იქნებოდა, მაგრამ პროგრამაში ჩართულ რამოდენიმე აკადემიურ პირს ჰქონდა სპეციალური სახელფასო დანამატი იმისათვის რომ დაეწერათ ქეისები. მნიშვნელოვანი იყო თუ როგორ მოხდა ექსპერტების მიერ აღნიშნული ინფორმაციის ინტერპრეტირება. პროგრამაში ჩართული იყო 4 მოქმედი დოქტორი და ერთი დოქტორანტი და აღსანიშნავი იყო რომ მათ ჰქონდათ გამოქვეყნებული სტატიები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებში ექსპერტები იშველიებდნენ აკრედიტაციის სტანდარტებს და არ იყენებდნენ უმაღლესი განათლებს შესახებ კანონს, რომლის 35 მუხლის მე-5 მუხლი მიუთითებდა იმაზე, რომ პირის კვალიფიკაცია შესაძლებელი იყო დადასტურებული ყოფილიყო პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. საკანონმდებლო იერარქიის მიხედვით კანონი იდგა უფორ მაღლა ვიდრე სტანდარტი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭო ხელმძღვანელობდა რეგულაციით სადაც ბოლო 5-10 წლის მანძილზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები იყო მნიშვნელოვანი. საბჭო ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტებით. მან ასევე აღნიშნა, რომ თავად რომ ყოფილიყო ექსპერტი მეტი რეკომენდაცია ექნებოდა ლიდერობის და მოტივაციის სილაბუსთან დაკავშირებით ვიდრე ადამიანური რესურსების მენეჯმენტთან მიმართებით. წარმოდგენილი სილაბუსი არ ასწავლიდა კონკრეტულად ლიდერობას. კურსის დასახელება არ შეესაბამებოდა მის შინაარსს. წარმოდგენილი არ იყო ტრანსფორმაციული ლიდერობის საკითხები. რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ ტრენინგ კურსი უნარების გამომუშავების მიზნით. შინაგანად მას სწამდა, რომ დამსწრე საზოგადოება თანხმდებოდა აკადემიური თავისუფლების პრინციპზე, სხვადასხვა უნივერსიტეტში ზოგიერთი საგანი ინსწავლებოდა განსხვავებულად სხვადასხვა სემესტრებში და წარმოდგენილი იყო აკადემიური თავისუფლებიდან გამომდინარე. ის, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხები ინსწავლებოდა გაფანტულად სხვადასხვა კურსებში გახლდათ სწორად აღნიშნული პრინციპის ნაწილი. ის, რომ სილაბუსს არ ჰქონდა პრერეკვიზიტი წყვეტდა თავად საგნის ლექტორი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ აკადემიურ თავისუფლებაზე საუბარი შესაძლებელი იყო რელევანტური ყოფილიყო საგნის შინაარსთან მიმართებით. ის რომ გარკვეული საგანი უნდა ყოფილიყო რომელიმე სხვა საგნის პრერეკვიზიტი ვერ იქნებოდა ცალსახად დაკავშირებული აკადემიურ თავისუფლებასთან ვინაიდან გახლდათ პროგრამის ნაწილი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან შეფასებული იყო რანჟირების მეთოდით. მათ მიერ წარმოდგენილი შეფასება მოდიოდა მეტწილ შესაბამისობაში, ვინაიდან გამოვლენილი იქნა გარკვეული გარემოებები და გაიცა რეკომენდაციებიც. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებიდან როგორც აღინიშნა ყველას არ ჰქონდა ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. პროგრამა გახლდათ საინტერესო დიზაინის, თუმცა მენეჯმენტის საფუძვლებს უსწრებდა საგანი მარკეტინგის მენეჯმენტი. მათი მოსაზრებით უფრო ლოგიკური იქნებოდა მარკეტინგის საფუძვლები ყოფილიყო პრერეკვიზიტად. სწავლების პროცესს ჰქონდა თავისი ლოგიკა და უნდა განხორციელებულიყო თანმიმდევრულად.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ იზიარებდა მოსაზრებას რომ სამეცნიერო ნაშრომი არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სტატია, პროფესორი რომელიც ეწეოდა საკონსულტაციო სამუშაოებს ფაქტიურად მოცულობიდან გამომდინარე უთანაბრდებოდა სამეცნიერო საქმიანობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ სურვილი ყოფილიყვნენ სტანდარტის საუკეთესო დონეზე შესაბამისი, მათი დაწესებულება გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო და თვლიდნენ რომ ის ნაწილიც, რომელიც მიუთითებდა არასრულ შესაბამისობას იყო სრულად შესაბამისი. მათ რომ არ ჰქონოდათ დიდ ამბიცია არ ექნებოდათ წარმატებული პროგრამები. მათ არ კამყოფილებდით საშუალო შეფასება და სჯეროდათ რომ ექსპერტებიც ანალოგიურად იმსჯელებდნენ. ის რაც მათ ვერ დაანახეს ექსპერტებს ცდილობდნენ სხდომაზე ეჩვენებინათ საბჭოს წევრებისათვის.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ქეისი ითვლებოდა მეცნიერული ნაშრომის ერთ-ერთ საშუალებად ბიზნესის ადმინისტრირებაში, არსებობდა სამი დიდი ცენტრი სადაც ქვეყნდებოდა ქეისები. მას აინტერესებდა სად ქვეყნდებოდა მათი ქეისები, იყო ეს საერთაშორისო ზემოთ ხსენებული ბაზები თუ საუნივერსიტეტო დონეზე. თუ ექსპერტების მიერ ვერ მოხერხდა გამოქვეყნებული ქეისების მოძიება, თუნდაც საუნივერსიტეტო დონეზე მაშინ მას მოუწევდა დათანხმებოდა ექსპერტების მოსაზრებას და რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქეისები რომლებსაც მათი პროფესორები წერდნენ გამოიყენებოდა ყოველდღიურ სწავლებაში და არ იყო თეორიული ნაშრომი, რომელიც დაიდებოდა თაროზე. უკეთესი იქნებოდა, რომ ჰქონოდათ ქეისების პუბლიკაციები და ყოფილიყო საჯარო მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც იზადებოდა კითხვა თუ რა აკლდებოდათ ამით მათი ბაკალავრების განათლებას. სად იყო ხარვეზი რომელიმე უნარის ან ცოდნის რომელიც განპირობებული იქნებოდა აკადემიური პერსონალის თეორიული შრომების სიმცირით. სტანდარტის არსი მდგომარეობდა იმაში რომ დადგენილი ყოფილიყო პროგრამა აძლევდა თუ არა სტუდენტს იმ უნარებს და ცოდნას რაც იყო საჭირო.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ პუბლიკაციებში ქეისებიდან განსხვავებით იკვეთებოდა ცალსახა სიცხადე, გამომდინარე იმ სამეცნიერო ბაზებიდან რომელთაც განეკუთვნებოდა პერიოდიკები და პუბლიკაციური ჟურნალები, თუ რომელში იყო ინტეგრირებული პროფესორის ნაშრომი მანიშნებელი იყო ხარისხისა. ნებისმიერ დებულებაში იყო აღნიშნული თუ რომელი სამეცნიერო ბაზა იყო დაშვებული პროფესორის კვლევითი კვალიფიკაციის მახასიათებლად. მან აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა აღნიშნული მიმართულების დაკნინებას. თუმცა ქეისის პროდუქტიულობა და მარგი ქმედება კითხვის ნიშნის ქვეშ არ იდგა, თუმცა მისი გათანაბრება სამეცნიერო პუბლიკაციებთან არ იქნებოდა მართებული. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ საუბარი იყო საბჭოს მიერ საკითხის განხილვაზე, რომელიც ხელმძღვანელობდა მაღიან კონკრეტული პროცედურული დოკუმენტებით და რეგულაციებით, სადაც ცალსახად აღნიშნული მომენტისათვის იმპერატიულად იყო გაწერილი, რომ ამა და ამ პარამეტრების მეშვეობით შეფასებული ყოფილიყო აკადემიური პერსონალის ეფექტიანობა. ასევე აღსანიშნავია იყო ის, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გაჟღერებული იყო საკითხი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სხვადასხვა კურსებში აკუმულირების თაობაზე. გასაგები იყო დაწესებულების პოზიცია აკადემიური თავისუფლების და შედარებითი პრაქტიკის შესახებ, თუმცა კონკრეტული უნივერსიტეტის მაგალითი და პრაქტიკა ვერ განიხილებოდა სრულ

ჭეშმარიტებად. ასევე აღნიშნა ლიდერობის და მოტივაციის სილაბუსში ლიტერატურის მითითების საკითხი, აუცილებელი იყო სტუდენტს საშუალება ჰქონოდა წინასწარ გაცნობოდა თემატიკის ჩამონათვალს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ ტრენინგ კურსი და სილაბუსში მითითებული იყო 6 თემა და რიდერები. მათი მოსაზრებით სილაბუსს არ გააჩნდა ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აღსანიშნავი იყო სასწავლო კურსი „მრეწველობა და ეკონომიკის სტრუქტურა“, რომელიც გახლდათ საჭირო და საინტერესო კურსი, თუმცა მისი მოსაზრებით სასწავლო მასალები იყო უკეთესად დასამუშავებელი. აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით არსებობდა ძალიან კარგი კლასიკური სახელმძღვანელოები რომელთა კომბინაცია მოიტანდა უფრო კარგ შედეგს. ასევე ეკონომიკის ნაწილში ყურადღებას იქცევდა დასავლური წყაროები, ავტორები გახლდნენ თეორიული მიმართულების, ძალიან კარგი იყო აკადემიური თავისუფლება თუ ვინ რომელ სკოლას აირჩევდა სტუდენტების გასანათლებლად, მაგრამ მისი მოსაზრებით პროგრამაში უნდა ყოფილიყო მინიშნება იმის თაობაზე რომ ასი პროცენტით აქცენტირება კეთდებოდა ავსტრიულ სკოლაზე და უმჯობესი იქნებოდა სტუდენტს ეს უნდა სცოდნოდა. სტუდენტის ინფორმირებული თანხმობა გახლდათ ერთ-ერთი მისი ფუნდამენტური უფლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების მოვალეობა გახლდათ ვიზიტის დროს დაედგინა გარემოება, კერძოდ ეკითხათ ლექტორებისათვის და სტუდენტებისათვის ქეისების თაობაზე. ქეისი თუ არ იყო გამოქვეყნებული ის ნამდვილად არ ჩამორჩება ხარისხს. სასურველი იქნებოდა ექსპერტების დონეზეც ყოფილიყო კორექტული გაგება თუ რას გულისხმობდა მეცნიერება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ თავისი პოზიცია რაც დაფიქსირდა და არ იყო საჭირო აქცენტის გაკეთება ექსპერტის კვალიფიკაციაზე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა განსაზღვრული ქონდა თუ არა უნივერსიტეტს 10 ყველაზე რეიტინგული სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც კავშირში იყო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ უნივერსიტეტში არსებობდა რამოდენიმე მიმართულება, ჟურნალების რაოდენობა და დასახელება უნდა განესაზღვრა თავად მეცნიერებას, სხვადასხვა სპეციფიკიდან გამომდინარე. რაც შეეხებოდა კომენტარს ეკონომიკასთან დაკავშირებით, წარმომადგენელი არ ეთანხმებოდა საბჭოს წევრს, რომ მაგალითისათვის, ჰეინი გახლდათ ავსტრიული სკოლის წარმომადგენელი. ამის თაობაზე მათ შეეძლოთ ღია დებატებიც გაემართათ. წარმომადგენელი ასწავლიდა სამართლებრივ ეკონომიკას და იყენებდა ლიტერატურას, რომელიც გახლდათ მეინსტრიმი, მას შეეძლო მიეწოდებინა სტუდენტებისათვის დამატებითი საკითხები და განსხვავებული პოზიციები რასაც აკეთებდა

ძირითადად მაგისტრატურის საფეხურზე იმისათვის, რომ ერთი და იგივე თემაზე სცოდნოდან მინიმუმ ორი ან სამი პოზიცია. ავსტრიული სკოლა კრძალავდა ავტორებს, რომლებიც იყენებდნენ გრაფიკებს და ორიენტირებული იყო ფილოსოფიაზე. რაც შეეხებოდა „მრეწველობისა და ეკონომიკის სტრუქტურის“ კურსს, წინა სემესტრში წარმომადგენელი თავად ესწრებოდა ლექციებს იმისათვის, რომ ენახა თუ რა შედეგებზე გადიოდნენ ვინაიდან ორიენტირებულები იყვნენ მხოლოდ შედეგზე. აღნიშნული საგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გახლდათ ის, რომ მათი სტუდენტი, რომელიც დაამთავრებდა პროგრამას უნდა სცოდნოდა შესაბამისი სტანდარტები, წესები, ევროპაში ექსპორტის და ბარიერების ასპექტები და ა.შ. კურსი აგებული იყო პრაქტიკულ მასალაზე, ლექტორიც გახლდათ პრაქტიკოსი რომელსაც ჰქონდა ძალიან დიდი გამოცდილება აღნიშნულ სფეროში. შესაძლებელი იყო საგნის თეორიული მასალით სწავლება სხვადასხვა მიდგომით მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანი იყო მიზანი რომელიც მათი მეთოდით მიღწეული იყო.

კითხვების ამოწურვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ 18:15 საათზე გამოაცხადა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს რეკომენდაციები:

- სილაბუსებში მითითებული იყოს ძირითადი ლიტერატურა. ასევე, ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში იყოს მითითებული აკადემიური სტანდარტების სრული დაცვით;
- მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით.

2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი -
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს გააცნეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. კერძოდ:

- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები“ შესწავლილი ყოფილიყო სწავლების ადრეულ სემესტრში;
- რეკომენდირებული იყო მკაფიოდ განსაზღვრულიყო კავშირი სწავლის მეთოდებსა და შეფასების სისტემას შორის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დადგენილი იქნა რამოდენიმე სილაბუსი სადაც იკვეთებოდა აღნიშნული ხარვეზი და მის შესაბამისად იქნა გაცემული მეორე რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ აღნიშნულ იქნა რომ განსახილველი საბაკალავრო პროგრამის მიმართ ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონდა, თუმცა შემდგომ დასკვნაში გაჩნდა რეკომენდაციები. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია გახლდათ ანალოგიური ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე შემუშავებული რეკომენდაციისა, შესაბამისად აღნიშნულ რეკომენდაციაზე აღარ გაამახვილებდნენ ყურადღებას. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, მისთვის ცოტა გაუგებარი იყო, იმიტომ რომ საუბარი იყო „კორპორაციულ ფინანსებზე“ სადაც იყო ორი შუალედური გამოცდა, ხოლო სემინარებზე გამოყენებული იყო ამოცანები, ქესიები და სხვა მეთოდები. როგორც დასკვნიდან ჩანდა, ყოველ შემთხვევაში დაწესებულებას იმგვარად გაიგო, რომ თუ იყენებდნენ ქესიებს და ამოცანებს სემინარებზე უნდა ყოფილიყო შეფასების ნაწილში მითითებული აღნიშნულის თაობაზე. გასაგები იყო, რომ აღნიშნული შესაძლებელი იყო შესულიყო შუალედურ გამოცდაში საკითხების სახით, თუმცა აღსანიშნავი იყო რომ გარკვეული მეთოდები შედიოდა შეფასების სისტემაში დავალებების ან თუნდაც ამოცანების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე მისთვის გაუგებარი იყო კონკრეტულად რას ითხოვდნენ ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ რა იგულისხმებოდა მეორე რეკომენდაციაში. ექსპერტმა განაცხადა რომ სილაბუსში მითითებული იყო შუალედური და დასკვნითი გამოცდა. სწავლის მიზანი, შეფასება და კომპეტენციები დაკავშირებული იყო ერთმანეთთან, რაც საბოლოო ჯამში აისახებოდა სწავლის შედეგებზე. მაგალითისათვის როდესაც შუალედური გამოცდა შეფასებული იყო 30 ქულით, თუმცა არ იყო მითითებული კონკრეტულად რა მეთოდი გამოიყენებოდა შეფასების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შუალედური გამოცდა ტარდებოდა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც იმ პერიოდისათვის გავლილი იქნა სტუდენტებთან, ძირითადად საუბარი ეხებოდა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ ქესიებს. წარმომადგენელმა გაახმოვანა უშუალოდ ჩანაწერი და აღნიშნა, რომ კორპორაციული ფინანსები 1-ის შუალედური შეფასების კომპონენტი განსაზღვრავდა, რომ სემესტრის განმავლობაში ჩატარდებოდა 3 ქვიზი, თითოეული ქვიზი ჩატარდებოდა საგამოცდო ცენტრში დახურული წერის პრინციპით და შეამოწმებდა სტუდენტთა მიერ ეტაპობრივად შეძენილ ცოდნას და უნარებს და ა.შ. ასევე ცალსახად იყო აღნიშნული, რომ თუ მესამე ქვიზი ტარდებოდა მეოთხე კვირას ის ამოწმებდა მანამდე განვლილ მასალას და ანალოგიურად იყო განსაზღვრული პირველი და მეორე ქვიზების ჩატარების მიზანი და პრინციპები. აღნიშნული სილაბუსის გაცნობის საშუალება აუცილებლად უნდა ჰქონოდათ ექსპერტთა ჯგუფს ვინაიდან წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციო განაცხადის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ გასაგები იყო, რომ შუალედური ქვიზები ამოწმებდა წინარე ცოდნას, მაგრამ სილაბუსში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული კრიტერიუმები. სილაბუსის დანიშნულებას წარმოადგენდა სტუდენტს მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა კრიტერიუმებით მოხდებოდა ცოდნის შეფასება. სილაბუსში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს ჰქონდა უნივერსალური ხასიათი და მითითება გაკეთებული იყო მხოლოდ დასკვნითი გამოცდისათვის. აუცილებელი იყო კრიტერიუმები ჩამოყალიბებული ყოფილიყო კონკრეტულად, სწავლის შედეგების შეფასება უნდა განხორციელებულიყო შეფასების მეთოდებით, მას ეჭვი არ ეპარებოდა იმაში რომ აღნიშნული ხორციელდებოდა თუმცა სილაბუსი ამას ვერ ადასტურებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა სილაბუსში არსებული ჩანაწერი კრიტერიუმების შესახებ და მაგალითისათვის მოიყვანა ამოცანა, რომელიც სტუდენტს უნდა ამოეხსნა გამოცდაზე, ვინაიდან ამოცანის პასუხი იყო ერთი მისი შეფასება მოხდებოდა 0-დან 1 ქულით. მათი მოსაზრებით სილაბუსში საკმარისი ინფორმაცია იყო იმისათვის, რომ სტუდენტს გაეგო თუ როგორ მოხდებოდა მისი შეფასება.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა რა მოცულობით ისწავლებოდა პროგრამაში ეკონომიკა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე ისწავლებოდა ეკონომიკის საფუძვლები, მიკრო და მაკრო ეკონომიკა, ეკონომიკური განვითარების ისტორია და სამართლებრივი ეკონომიკა, რომელიც ისწავლებოდა მესამე კურსზე. ეკონომიკის საფუძვლებში გამოიყენებოდა ჰეინეს სახელმძღვანელო.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო ეკონომიკის საგნების მიწოდების მოცულობიდან გამომავალ ფაქტორებზე საათები იმისათვის, რომ სტუდენტისათვის განევიტარებინათ სხვა უნარები. დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა თუ რომელი საგნის მოხსნას ურჩევდა საბჭოს წევრი პროგრამიდან.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო პროგრამიდან ამოღებული ყოფილიყო მიკროეკონომიკის საგანი. ვინაიდან სწორედ საფუძვლები მოიცავდა მიკრო და მაკრო ეკონომიკის საკითხებს. მისი შთაბეჭდილებით საფუძვლების დონეზე იხარჯებოდა დრო რომლის რაციონალურად გადანაწილება იყო შესაძლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეკონომიკის საფუძვლები გახლდათ ზოგადი საუნივერსიტეტო საგანი სადაც ფოკუსი კეთდებოდა ეკონომიკურ აზროვნებაზე, ლოგიკაზე და ა.შ. ხოლო თუ გაეცნობოდნენ მიკრო და მაკრო ეკონომიკის სილაბუსებს ნახავდნენ, რომ გამოყენებული იყო სხვა სახელმძღვანელოები და აქცენტი კეთდებოდა კონკრეტულ თემებზე. აღსანიშნავი იყო ასევე ის, რომ წინა პროგრამისაგან განსხვავებით აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაში ზოგიერთ სილაბუსში მითითებული იყო განსხვავებული ლიტერატურა. მიკროეკონომიკა გახლდათ სავალდებულო კურსი მხოლოდ ორი ფაკულტეტისათვის ბიზნესის

ადმინისტრირების და მართვის სკოლისათვის შესაბამისად მიზანი, მეთოდები და სიღრმე გახლდათ განსხვავებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 1997 წელს თავად თარგმნა გერმანულიდან ქართულ ენაზე მიკროეკონომიკის სახელმძღვანელო რომელსაც ერქვა „მიკროეკონომიკის საფუძვლები“. მას შეეძლო გადაეცა საბჭოს დაინტერესებული წევრებისთვის აღნიშნული სახელმძღვანელო იმისათვის რომ საბჭოს წევრებს ენახათ საფუძვლების არსი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აფასებდა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაწეულ შრომას სახელმძღვანელოს თარგმნასთან დაკავშირებით, ამავე დროს მას არ ჰქონდა სურვილი შესულიყო დისკუსიაში თუ რა იყო მიკრო და მაკრო ეკონომიკა, საუბარი იყო პროცესზე, რომელსაც აყალიბებდნენ. შესაძლებელი იყო რაციონალიზაცია მომხდარიყო ეკონომიკის საგნების მიმართ გამოყოფილი დროის და აქცენტი გაკეთებულიყო პრაქტიკულ უნარებზე, რომელიც წადგებოდა ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტს, მაშინ როდესაც თავად დაწესებულება აღნიშნული მიმართულებით მუდმივად აპელირებდა პრაქტიკაზე და უგულებელყოფდა სამეცნიერო - კვლევითი მიმართულების გაძლიერებას.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ მსჯელობა მიდიოდა პროგრამაზე რომელიც არსებობდა 25 წლის მანძილზე, ჰქონდა 100% -იანი დასაქმება და ძალიან მაღალი რეპუტაცია საზოგადოებაში. შესაძლებელი იყო მოსაზრებების არსებობა, როგორც კერძო ასევე პროფესიონალური თუ როგორ უნდა ესწავლებინათ, მაგარამ ამავე დროს უნდა არსებულიყო ლეგიტიმური ნდობა უნივერსიტეტის და პროგრამის მიმართ. ეკონომიკა ისწავლებოდა იმ დოზით პროგრამაში რაც ქმნიდა წარმატებულ ადამიანებს. მარავალწლიანი პრაქტიკა ადასტურებდა, რომ ის ცოდნა და უნარები, რომელსაც იღებდნენ მათი სტუდენტები იყო აუცილებელი, საკმარისი და მოთხოვნილი ბაზარზე, მათ შორის სავარაუდოდ მათი ცოდნაც ეკონომიკის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეკონომიკის საფუძვლებში იყო მოაზრებული მაკრო და მიკრო ეკონომიკის საკითხები, თუმცა აღნიშნული არ იყო საკმარისი ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტისათვის გაეგო თუ რა იყო უშუალოდ მაკრო და მიკრო ეკონომიკა. აღნიშნული არ გახლდათ დაწესებულების მოგონილი, თუ შეადარებდნენ სცხვა ქვეყნის ანალოგიური პროგრამებს ნახავდნენ რომ ეკონომიკის საფუძვლების შემდეგ მოდიოდა მხოლოდ შესავალი მაკრო ეკონომიკასა და მიკრო ეკონომიკაში. აღნიშნული გახლდათ შესავალი იმისათვის, რომ სტუდენტს ესწავლა მომდევნო ეტაპებზე მაკრო და მიკრო ეკონომიკა. სამივე ელემენტს ჯამში ეთმობოდა 13 კრედიტი, რომელიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ სტუდენტს სცოდნოდა და გაეგო ეკონომიკის ძირითადი, მნიშვნელოვანი ასპექტები.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა ასწავლიდნენ თუ არა ეთიკის საკითხს მაგალითისათვის ბიზნეს ეთიკას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთიკის საკითხებს მენეჯერული აღრიცხვის კურსში ეთმობოდა ორი შეხვედრა. ისწავლებოდა

ბუღალტრული ეთიკა, პროფესიული ეთიკა და ა.შ. აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამას მიღებული ჰქონდა „ACCA“ და „SIMA“ - ს აკრედიტაციები, რომელიც ასევე ირიბად პასუხობდა დასმულ შეკითვას, ვინაიდან თუ ეთიკის საკითხები არ იქნებოდა გათვალისწინებული შეუძლებელი იქნებოდა აკრედიტაციის მიღება. ეთიკის საკითხებს ასევე ფარავდა ბევრი სხვა საგანი სხვა რაკურსით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭო მიიჩნევდა, რომ მე-3 და მე-4 სტანდარტების შეფასება შესაძლოა შეცვლილიყო და შეფასებულიყო, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. კერძოდ:

- რეკომენდირებული იყო უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისადმი მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სამეცნიერო კვლევის ელემენტებით;
- რეკომენდირებული იყო გადამუშავებულიყო სასწავლო კურსების „ადამიანური რესურსების მართვა“; „პროექტების მართვა“; „მართვის საინფორმაციო სისტემები“; „კორპორაციული ფინანსები“; „მენეჯერული აღრიცხვა“; „მოდელირება Excel-ში“ სილაბუსები და მოხდარიყო მკაფიო გამიჯვნა საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსებისაგან;
- სასურველი იყო სადიპლომო პროექტისთვის წაყენებული მოთხოვნების სრულფასოვნად შესასრულებლად გარკვეული ღონისძიებების გატარება და პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავება;
- რეკომენდირებული იყო პროგრამაში გაძლიერებულიყო სამეცნიერო კვლევით უნარებზე ორიენტირებული აქტივობები;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობად განსაზღვრული ყოფილიყო სასწავლო კურსი ბიზნესი;

- რეკომენდირებული იყო სადიპლომო პროექტის წინაპირობად განსაზღვრულიყო ყველა სავალდებულო საგნების სწავლება;
- რეკომენდირებული იყო სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, ასევე მნიშვნელოვანი იყო ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების პოპულარიზაცია;
- რეკომენდირებული იყო გაძლიერებულიყო მაგისტრანტების ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში და მომხდარიყო გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია;
- რეკომენდირებული იყო აკადემიური პერსონალის ჩართულობის ამაღლება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნდა განხორციელებულიყო სხვადასხვა სახის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც მოემსახურებოდა პროფესიული და/ან სწავლების უნარის განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნაში ექსპერტები მიუთითებდნენ უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან შესაბამისობაზე, რომელიც განსაზღვრავდა მაგისტრატურაში სწავლების მიზნებზე. კანონის თანახმად მაგისტრატურაში სწავლების მიზნები გახლდათ: ა) შესაბამის მიმართულებაში, დარგში, სპეციალობაში ან/და ქვედარგში, სპეციალიზაციაში ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარების გამომუშავება, რაც პირს ამზადებდა მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით; ბ) სპეციალობის შეცვლა, გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა; გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება; (დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა, რომ კვლევა და პედაგოგიური მომზადება გამოყოფილი იყო კავშირით „და“ და არა „ან“) დ) პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებდა და მისი დიზაინი იყო კანონის აღნიშნული სამი პუნქტის შესაბამისი და პრაქტიკაზე ორიენტირებული. არავითარი ამოცანა მათ პროგრამას სამეცნიერო-კვლევითი ცოდნის მიცემის არ ჰქონდა და არც იყო ვალდებული.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი პუნქტებიდან მათი პროგრამა აკმაყოფილებდა ოთხიდან მხოლოდ სამს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ იყო კუმულატიური და სამართლებრივი განმარტების მიხედვით ოთხივე პუნქტი გახლდათ ერთმანეთის ალტერნატივა. აღსანიშნავი იყო, რომ მათთან მაგისტრატურაში მოდიოდნენ საშუალო რგოლის მენეჯერები, მათი ამოცანა გახლდათ ან პროფესიის შეცვლა ან კარიერული ზრდა. აღნიშნულ ამოცანებს სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებითაც პროგრამა სრულყოფილად აკმაყოფილებდა. პროგრამა ხორციელდებოდა 20 წლის მანძილზე და ჰქონდა 100% - იანი დასაქმების მაჩვენებელი.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა რამდენი პროცენტი იყო მათი კურსდამთავრებულების ციფრობრივ განზომილებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამას თუ აიღებდნენ ერთ გამოშვებაზე სწავლობდა 3300-ზე მეტი სტუდენტი, რომლიდანაც დასრულება შეძლო დაახლოებით 60% პროცენტმა - 2000 ადამიანმა. მაგისტრატურის საფეხურზე აღინიშნებოდა კარიერული ზრდა, ხოლო მან ვინც შეიცვალა პროფესია ყველა დასაქმდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ არ იყო მართებული აპელირება იმაზე, რომ ასი პროცენტიდან საქმდებოდა ასივე. დასაქმება ბიზნესში თუ ნახავდნენ საერთო ციფრებს იყო ძალიან მაღალი, ზოგან მეტი ხოლო ზოგან ნაკლები, რაც სრულიად გასაგები იყო. აღსანიშნავი იყო ის, რომ თავად მსჯელობა გახლდათ არასწორი ვინაიდან აქცენტი კეთდებოდა დასაქმებაზე და ხდებოდა სრული იგნორი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა, რაშიც თავად ვერ დაეთანხმებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც მათ წაიკითხეს დასკვნა მათ გაუჭირდათ რეკომენდაციების გააზრება, მათ ჰქონდათ ვარაუდი, რომ მოცემული შინაარსი არ შეესაბამებოდა რეალობას. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსების იდენტიურობას. აღსანიშნავი იყო, რომ ყველა სილაბუსში მოცემული იყო განსხვავებული ლიტერატურა და სწავლის შედეგები. მათ გაუჩნდათ ვარაუდი იმისა, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ გადაგზავნილი აქტუალური სილაბუსები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დაწყების წინ მათ თხოვეს დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდებინათ მათთვის ამოზეჭდილი სილაბუსები, თუმცა მათ აღნიშნული დოკუმენტები მათთვის არ მიუციათ. ასევე ინტერვიუს დროს ექსპერტმა უშუალოდ კორპორაციული ფინანსების ლექტორის დაუსვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე ისწავლებოდა იდენტური სილაბუსებით. თავდაპირველად ლექტორი მას არ დაეთანხმა, თუმცა როდესაც გახსნეს კონკრეტული სილაბუსი აღმოჩნდა, რომ ორივე საფეხურზე მითითებული იყო ერთი და იგივე სილაბუსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა ცენტრს წარმოედგინა ის სილაბუსი რომელიც შესასწავლად გადაგზავნილი იქნა ექსპერტებთან. ვინაიდან მათი განცხადებით, როდესაც თავდაპირველად აკრედიტაციის განაცხადთან ერთად გამოიგზავნა პაკეტი დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა და შესაძლებელი იყო, რომ სხვადასხვა საფეხურის დოკუმენტაციაში მოხვედრილიყო ერთი და იგივე სილაბუსები. მას შემდეგ რაც გამოიცა ბრძანება, დებულების თანახმად მათ საშუალება ჰქონდათ განემორებით წარმოედგინათ კორექტირებული პაკეტი. მათ აინტერესებდაც იცნობდნენ თუ არა ექსპერტები სილაბუსების კორექტირებულ ვერსიას.

ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტებს გაგზავნილი ჰქონდათ, როგორც თავდაპირველი ასევე შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ექსპერტები ნამდვილად იცნობდნენ განახლებულ სილაბუსებს, მაშინ მსჯელობას გააგრძელებდა მათ შინაარსობრივ ნაწილზე. აღსანიშნავი იყო რეკომენდაცია ლიტერატურასა და სამაგისტრო დიპლომებში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის იყო გაუგებარი და უცნაური. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა ნაშრომები შეფასების გრადაციის მიხედვით, რომელიც მათ წარედგინათ. სრულიად გასაგები იყო, რომ ნაშრომს ჰქონოდა გარკვეული ხარვეზი ან დაბალი

შეფასება ვინაიდან ყველა სტუდენტი ვერ წარმოადგენდა იდეალურ ნაშრომს. აღსანიშნავი იყო, რომ სამაგისტრო ნაშრომს ჰქონდა სილაბუსი სადაც აღწერილი იყო კრიტერიუმები, მითითებული იყო ციტირების შესახებ და ა.შ. რაც შეეხებოდა საგნებს, მაგალითისათვის „ადამიანური რესურსების მართვა“ მას შეეძლო საბჭოს წევრებისათვის წარედგინა ორივე საფეხურის სილაბუსი იმისათვის, რომ მათ მიეთითებინათ იდენტურობაზე. ცხადი იყო, რომ ლიტერატურა და თემები იყო განსხვავებული. ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა საგნების სილაბუსებთანაც მიმართებაშიც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სწორად იმიტომ რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული გაუგებრობა მათ მოითხოვეს ამოხეჭდილი სახით წარმოედგინათ ვიზიტის დროს სილაბუსები, რომელიც მათ არ მიაწოდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არავის არ ახსოვდა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი იყო სილაბუსები ამოხეჭდილი სახით.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა, სილაბუსებში იყო თუ არა განსაზღვრული საჭიროება სხვადასხვა საწყისი უნარების მქონე სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსი გახლდათ ერთი, განსხვავება იყო თემების სირთულეში სტუდენტის წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე. რაც შეეხებოდა კვლევებს, მიუხედავად მეცნიერებაზე და კვლევაზე განსხვავებული ხედვისა მათი მაგისტრანტები სწავლობდნენ მათემატიკური კვლევის მეთოდებს, მოდელირებას ექსელში, მონაცემთა ანალიზს და ა.შ. მესამე მოდულში მათ ჰქონდათ გათვალისწინებული შემაჯამებელი პრაქტიკუმი, რომლის დროსაც სტუდენტებს უნდა ჩაეტარებინათ ერთგვარი კვლევა რომელიმე კომპანიაზე და გამოეყენებინათ მეთოდები და ცოდნა რომელიც მათ დაუგროვდათ სწავლების პერიოდში. შეფასებისას ფასდებოდა კვლევის დიზაინი, ლიტერატურა, ალტერნატივების სიცოცხლისუნარიანობა და ა.შ. აღნიშნული პრაქტიკუმის პუნქცია იყო მოეზადებინა მაგისტრანტი საბოლოო ნაშრომის წარდგენისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა წინასწარ დადგენილი წესი თუ როგორ უნდა შესრულებულიყო სამაგისტრო ნაშრომი. მათ მიერ შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომები ძირითადად წარმოადგენდა ბიზნეს გეგმებს, მხოლოდ ორი იყო კომპანიის შეფასება. მათ ნახეს ბოლო წლის 7-8 ნაშრომი. ნაშრომები არ ითვალისწინებდნენ კვლევის სტანდარტებს. ექსპერტმა განმარტა, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად მაგისტრატურა წარმოადგენდა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, რომელიც მოიცავდა სამეცნიერო-კვლევით ელემენტებს და მიზნად ისახავდა ბაკალავრიატის შემდგომი დონის სპეციალისტის და მკვლევარის მომზადებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა ექსპერტს ასევე წაეკითხა აღნიშნული კანონის სხვა მუხლებიც, სადაც ხდებოდა კონკრეტულ სამაგისტრო საფეხურთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, ექსპერტის მოსაზრება გამომდინარეობდა იქედან რომ ნაშრომები არ შეესაბამებოდა სამაგისტრო საფეხურის დონეს თუ გაწერილის არ იყო თუ როგორ უნდა შესრულებულიყო ნაშრომი. მას აინტერესებდა რის საფუძველზე ჩამოაყალიბეს ექსპერტებმა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა ზუსტად სპეციალური წესების არ არსებობას გაწერილი დოკუმენტის სახით, თუ როგორ უნდა შეესრულებინა მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსის მიხედვით სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესში აღწერილი იყო თუ რას აკეთებდა ხელმძღვანელი, როგორ უნდა გაეგოთ ეტაპები და სადიპლომო პროექტის ტიპები. სამაგისტრო პროექტით გადაწყვეტილ ამოცანას უნდა უზრუნველყო ორგანიზაციისათვის ხელშესახები და გაზომვადი სარგებლის მოტანა, მაგალითისათვის ბიზნესის ღირებულების, შემოსავლის ზრდა, დანახარჯების შემცირება და ა.შ. პროექტის ტიპი შესაძლოა ყოფილიყო ორგანიზაციის განვითარების მართვის ან პრობლემის გადაწყვეტა, ბიზნესის ორგანიზაციის ანალიზი, მარკეტინგული კვლევა, ახალი პროექტის დანერგვა და ა.შ. აღნიშნული გახლდათ სწორად წესი თუ როგორ უნდა შეესრულებინა მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის პროექტი. მათთვის გაუგებარი იყო რა აკლდა ზემოთ მოყვანილ წესებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება ითხოვდა ბიზნეს გეგმების შემუშავებას, მარკეტინგულ კვლევას. მარკეტინგული კვლევა გულისხმობდა სხვაგვარ კვლევას და მეთოდურად, ბიზნეს გეგმა მოიცავდა განსხვავებულ სტრუქტურას, ანალოგიურად კომპანიის შეფასებას. ყოველივე აღნიშნული ჩასმული იყო ერთიან ჩარჩოში რაც არ იქნებოდა სტუდენტისათვის სასარგებლო. აღნიშნული იყო რომ ყველაფერი იცოდა ხელმძღვანელმა და როგორც ის მოისურვებდა ისე იმუშავებდა სტუდენტიც.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ კანონი საუბრობდა სამაგისტრო საფეხურთან დაკავშირებით ზემოთ ნახსენებ ოთხ პუნქტზე, ამასთან სტანდარტების მიხედვით მნიშვნელოვანი იყო შედეგებზე გასვლა. სამაგისტრო დონის სტანდარტის მიხედვით სტუდენტისათვის უნდა მიეცათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. აღნიშნული უნარი იძლეოდა ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედების უნარს, კომპლექსური კომპონენტის გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიების უნარს მათ შორის კვლევის განხორციელების უნარს უახლესი მეთოდების გამოყენებით. ის რომ სტუდენტს უნდა ჰქონოდა კვლევის უნარი ორი აზრი არ იყო. მნიშვნელოვანი საკითხს წარმოადგენდა იყო თუ არა ბიზნეს გეგმა აღნიშნული სტანდარტით გათვალისწინებული. მაგალითისათვის, ორი სტუდენტი წერდა ვაშლის ჩირის წარმოებაზე სამაგისტრო ნაშრომებს სხვადასხვა რეგიონში, ჩაითვლებოდა თუ არა აღნიშნული ახალ მეცნიერულ ცოდნად და კვლევად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსის მიხედვით ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო იდენტიფიცირებული პრობლემა, გადაყვანილი ამოცანად და შემდეგ შესწავლილი უნდა ყოფილიყო ალტერნატივები და ა.შ. აღნიშნული გახლდათ კვლევა, რომელიც ორიენტირებული იყო კონკრეტულ პრობლემაზე. თუ ორი მაგისტრი გააკეთებდა მსგავსი სახელის ბიზნეს გეგმას მაგრამ წარმოდგენილი ექნებოდათ განსხვავებული პრობლემები კერძოდ, წარმოების მეთოდი, რეგიონის პრობლემატიკა და ა.შ. შესაძლებელი იყო ჩათვლილიყო ახალ მეცნიერულ ცოდნად.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ თუ ერთი და იგივე სამეცნიერო თემაზე იწერებოდა ნაშრომი რომლის შინაარსი იქნებოდა ერთნაირი ის ჩაითვლებოდა პლაგიატად. თუ კი ბიზნესის გეგმის შემთხვევაში სტრუქტურის ფორმულირება იქნებოდა იგივე მაგრამ განსხვავებული ამოცანით და პრობლემით ამ შემთხვევაში პლაგიატზე ვერ იქნებოდა საუბარი.

თუმცა მთავარი იყო რამდენად გამოდგებოდა აღნიშნული ტიპის ბიზნეს გეგმა სამაგისტრო ნაშრომად გარდა იმ შემთხვევისა თუ კი ადგილი არ ექნებოდა სიახლეს და ინოვაციას. მან მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა მათ მიერ შემოწმებულ 8 სამაგისტრო ნაშრომში იკვეთებოდა თუ არა სიახლის ხაზი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ბიზნეს გეგმა იწერებოდა ორი მიზნით, როდესაც სახეზე იყო ახალი იდეა ან ბიზნესის გაფართოების მიზანი. იდეაზე იგებოდა უშუალოდ გეგმა ხოლო პრობლემატიკა ქმნიდა კვლევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნეს გეგმა ყოველთვის იწყებოდა პრობლემიდან, რომელიც გულისხმობდა მოთხოვნას, რომელიც არ კმაყოფილდებოდა. პრობლემის გადაჭრას ემსახურებოდა ბიზნეს გეგმა. პრობლემის გაანალიზების შემდგომ იწყებოდა კვლევა. მაგალითისათვის, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუშაობდა ბიზნეს გეგმაზე ერთ-ერთ მაგისტრანტთან, რომელმაც დაინახა რომ მცხეთაში იყო ტურისტების დიდი ნაკადი, ადგილობრივი სასტუმროები იყო ყველა სტანდარტული და სურდა სიახლის შეთავაზება, რომელიც გულისხმობდა ბეტონის დიდი მილების გადაკეთებას სასტუმროებად, რომელიც იქნებოდა სიახლე ტურისტებისათვის. აღნიშნული გახლდათ სიახლე.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა აღნიშნული გახლდათ იდეის, მოდელის სიახლე, არცერთის თუ სხვა რამის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ სხვა რამ, კერძოდ სიახლე ზაზრისათვის.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა სადიპლომო ნაშრომთან დაკავშირებით საბაკალავრო დონეზე თუ არსებობდა აღნიშნული პრაქტიკა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო დონეზე მსგავსი პრაქტიკა არ ჰქონდათ. ბიზნეს გეგმა როგორც ნაშრომი გამოიყენებოდა სამაგისტრო დონეზე.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ უნდა დაენახათ განსხვავება გამოყენებით და თეორიულ ცოდნას შორის. რაზეც იყო საუბარი გახლდათ გამოყენებითი, სამეწარმეო იდეა და ის ელემენტები რომელიც ითვლებოდა კვლევად გახლდათ პრაქტიკული ნაწილი. აუცილებელი იყო განსაზღვრა რამდენად გავიდოდა აღნიშნული ნაწილი კვლევებში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა მას მიაწოდა სილაბუსები რომელიც გადაგზავნილი იყო ექსპერტებთან და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს გადაეხედათ და დაედასტურებინათ ემთხვეოდა თუ არა მათ მიერ ბოლოს გადმოგზავნილ სილაბუსებს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გადახედეს სილაბუსებს და დაადასტურეს რომ სახეზე იყო კორექტირებული ბოლო ვერსიის სილაბუსები, შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ამოწურული იქნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პლაგიატთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დიდი დრო იხარჯებოდა პლაგიატთან ბრძოლაში, პირველი ეტაპი იყო თავად ლექტორი, რომელიც ამოწმებდა ნაშრომებს და აკონტროლებდა როგორ მიდიოდა მუშაობა. მათ საგამოცდო ცენტრში იყო დამონტაჟებული კამერები, სადაც ტარდებოდა გამოცდები, ცენტრში არ იყო ინტერნეტი და

არ იჭერდა მობილური, არ შეიძლებოდა საგამოცდო ცენტრის დატოვება. ხორციელდებოდა მუდმივი მონიტორინგი. უშუალოდ ნაშრომს ამოწმებდა ლექტორი, სკოლის დეკანი, მოწმდებოდა ციტირების ინდექსი, მითითებული იყო თუ არა წყაროები, ხდება შედარება სხვა ნაშრომებთან და ა.შ. თუ კი იყო ორი გვერდი რომელიმე ვებ გვერდიდან და არ იყო მითითება აღნიშნული გახლდათ პლაგიატი. ყველა სილაბუსის ბოლოს მითითებული იყო, რომ ისჯებოდა პლაგიატი და უნდა ეხელმძღვანელათ ეთიკის კოდექსით.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ გათვითცნობიერება იყო მაღალი ხარისხის, თუმცა აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა სპეციალური პროგრამა. მას აინტერესებდა რა მეთოდით ხდებოდა პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლა, იყო ეს ფიზიკური გადახედვა თუ გუგლის გამოყენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა გამოცდილება დისერტაციების პლაგიატზე შემოწმების, პროგრამა მუშაობდა იქედან გამომდინარე რაზეც ჰქონდა მას წვდომა ბაზების მიხედვით, აღნიშნულ ბაზებთან წვდომა მას ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის რეალიზაცია მოითხოვდა პროგრამულ აღჭურვას ვიდრე ბაზების გამოყენება. მას აინტერესებდა ხომ არ აპირებდნენ ანტი პლაგიატის პროგრამის შეძენას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ცოტა ხნის წინ გავლილი ჰქონდა ავტორიზაცია, ავტორიზაციის გავლის პროცესშიც საუბარი შეეხო პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამას და დადასტურდა, რომ ის მექანიზმები რომელიც არსებობდა უნივერსიტეტში იყო საკმარისი. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში, აღსანიშნავი იყო, რომ ყველა მაგისტრანტი გახლდათ წარმატებით დასაქმებული და ხშირ შემთხვევაში მართავდნენ მსხვილ კომპანიებს, მათ ზუსტად იცოდნენ რა მიზანზე სურდათ გასვლა და რას ელოდებოდნენ პროგრამისაგან რომელშიც იხდიდნენ 20 000 ლარს. მათ აინტერესებდათ რა შედეგს მიიღებდნენ და რამდენად რელევანტური იქნებოდა თუ კი მაგისტრანტის დროს დახარჯავდნენ კონფერენციებში მონაწილეობაზე. აღნიშნული პირები 8 საათს ატარებდნენ სამსახურში, შემდეგ 4 საათს ხარჯავდნენ ლექციებზე და დარჩენილ დროს უნდა ემუშავათ მასალაზე, მათ არ მიაჩნდათ სწორად თუნდაც ერთი საათი დაეხარჯათ სტუდენტებს კონფერენციისათვის და გაეცდინათ პროექტზე მუშაობის დრო.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე არ ღირდა საუბარი ვინაიდან უნივერსიტეტს ჰქონდა განსხვავებული ხედვა გამომდინარე პრაქტიკული არეალიდან და სფეროდან რასაც პროგრამა ემსახურებოდა. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი აღნიშნულ შემთხვევაში არ იყო საჭირო. მიუხედავად აღნიშნულისა მისი მოსაზრებით საბჭო ყოველთვის იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნების მომხრე განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე სამეცნიერო - კვლევითი აქტივობის და ანგაჟირების არსებობისა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, რატომ საუბრობდა საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე საბჭოს სრული შემადგენლობის სახელით. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ის გახლდათ საბჭოს წევრი და მას არაერთხელ ჰქონდა მოსმენილი საბჭოს პოზიცია, შესაბამისად თავს უფლებას აძლევდა ესაუბრა მათი სახელით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ კანონიერ უფლებას წარმოადგენდა ჰქონოდათ არსებული სახით სამაგისტრო პროგრამა, მიუხედავად საბჭოს წევრების მოსაზრებების მიმართ ღრმა პატივისცემისა, კონფერენციაში მონაწილეობა, რომ ყოფილიყო რჩევა, დიდი სიამოვნებით იმსჯელებდნენ აღნიშნულ საკითხზე, რეკომენდაციას ჰქონდა ფარისევლური სახელი რომელიც რეალურად იყო ინსტრუქცია.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ვერ მიიღებდა ტერმინების ამგვარ განმარტებას და მას არ ჰქონდა აღნიშნულის სმენის ვალდებულება. აღსანიშნავი იყო, რომ ფიქსირდებოდა განსხვავებული პოზიციები, შესაბამისად მართებული არ იქნებოდა ინსტრუქციის და დირექტივის განმარტებებზე საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციიდან გამომდინარე ისაუბრა იმის თაობაზე თუ რატომ არ იყო სტრატეგიული მენეჯმენტის პრერეკვიზიტი ბიზნესი, ის გახლდათ ორივე საგნის ლექტორი, აღნიშნული ორი საგანი ასწავლიდა განსხვავებულ თემატიკას, ბიზნესი კურსის შინაარსი გახლდათ განსხვავებული, როგორ უნდა დაწერილიყო ბიზნეს გეგმა რა იყო ბიზნეს სფიში და ა.შ. სტრატეგიული მენეჯმენტი სწავლობდა თუ რა სტრატეგიები და ხედვა ჰქონდათ კომპანიის მართველებს და როგორ ავითარებდნენ კომპანიას. პრერეკვიზიტი ნიშნავდა, რომ თუ არ იცოდი ერთი რაღაც ვერ აითვისებდი მეორეს იმიტომ რომ არ გეყოფოდა ცოდნა. აღნიშნულ შემთხვევაში არ არსებობდა არანაირი კავშირი ორ საგანს შორის. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ სადიპლომო ნაშრომის წინაპირობა თავისთავად გახლდათ ყველა სავალდებულო საგანი. აღნიშნული გახლდათ ადმინისტრაციის საკითხი. სტუდენტი თავისთავად ვერ გავიდოდა დაცვაზე თუ არ იქნებოდა გავლილი საგნები. აღნიშნული გახლდათ შიდა პროცესი. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა მათ აკადემიურ პერსონალს, მათ ჰქონდათ შესაბამისი ხარისხი, ატარებდნენ კვლევებს, ჰქონდათ ნაშრომები და მათთვის გაუგებარი იყო აღნიშნული რეკომენდაცია ვინაიდან ინტერვიუს დროს შედგა პერსონალთან გასაუბრება და ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება დაედასტურებინათ აღნიშნული გარემოება.

ექსპერტმა სილაბუსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროექტების მართვის სილაბუსების თანახმად ბაკალავრიატის საფეხურზე ისწავლებოდა მეექვსე სემესტრში, ხოლო მაგისტრატურაზე მეოთხე მოდულში. სასწავლო კურსის აღწერა, მიზანი და სწავლის შედეგები ორივე საფეხურზე გახლდათ იდენტური, ასევე უმთავრესი იყო გამოყენებული ლიტერატურა სადაც ერთი სახელმძღვანელო იყო მხოლოდ განსხვავებული. თემატიკაც გახლდათ თითქმის იდენტური განსხვავება იყო სემესტრებში ორივე საფეხურზე. ანალოგიური იყო კორპორაციული ფინანსების სილაბუსშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო საფეხური არ გახლდათ განგრძობადი განათლება. თუნდაც ბაკალავრს რომ ჰქონოდა ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული რელევანტური ცოდნა, სამაგისტრო საფეხურზე განსხვავება მდგომარეობდა თემატიკის სიღრმეში, მეთოდოლოგიაში, შეფასებაში და სწავლის შედეგებში. განსხვავებული იყო ასევე თემებზე დროის გადანაწილება, ცნებებს და განმარტებებს მაგისტრატურაში ეთმობოდა ერთი საათი, ქეისები გახლდათ უფრო რთული და ა.შ.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლომაჯანიძემ განაცხადა, რომ სილაბუსში მთავარი იყო სწავლის შედეგები. ბაკალავრიატის სწავლის შედეგები არ უნდა გამეორებულიყო მაგისტრატურაში. პროექტების მართვის სილაბუსში ერთის გარდა ყველა სწავლის შედეგი გახლდათ იდენტური. გასაგები იყო

მიდგომა რომ უფრო სიღრმისეულად ისწავლებოდა საგანი მაგისტრატურის დონეზე და ეთმობოდა მეტი დრო, მაგრამ სწავლის შედეგი არ შეიძლება ყოფილიყო ერთი და იგივე.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ სილაბუსებში არ იყო მითითებული ლიტერატურის რეკვიზიტები. არ იყო სრულად მითითებული ავტორი და გამოშვების წელი. სტუდენტს მოუწევდა თავად მოეძიებინა ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებს უნდა ჩაეტარებინათ აღნიშნულის ექსპერტიზა იმისათვის რომ მათ ჰქონოდათ პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით.

20:40 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 21:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭო მიიჩნევდა, რომ პირველი სტანდარტის შეფასება შესაძლოა შეცვლილიყო და შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 6 თვის განმავლობაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო გამოსწორდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

საბჭოს რეკომენდაციები:

- მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით;
- რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები და შინაარსი გაიმიჯნოს ბაკალავრის იმავე საგნების სწავლის შედეგებისგან. ასევე, სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს კვალიფიკაციათა აღმწერის მეორე საფეხურის მოთხოვნებთან.
- ჩამოყალიბდეს გზამკვლევი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შესახებ. სადაც განიზღვრება ა) მეცნიერული კვლევის მიმართულება და შესაბამისი კრიტერიუმები ბ) პრაქტიკული ნაშრომის კვლევითი მიმართულება (მათ შორის ბიზნესის გეგმა) და შესაბამისი კრიტერიუმები.
- რეკომენდირებულია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, ასევე მნიშვნელოვანია ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების პოპულარიზაცია.

თავმდჯომარე
ლევან გორდეზიანი

მდივანი
დიმიტრი ჯაფარიძე